



მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №30

2017 წლის 25 აგვისტო

ქ. მარტვილი



საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიასთან (აგიტაციასთან) დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის მოწესრიგების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ემუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 46-ემუხლის შესაბამისად, მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1.

აკრძალულია მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სუბიექტის სააგიტაციო მასალის (შემდგომში საარჩევნო პლაკატი) გაკვრა:

- ა) საკულტო შენობა-ნაგებობებზე (სასაფლაოს ტერიტორია, ეკლესია და სხვა), კულტურული მემკვიდრეობის შენობა-ნაგებობებზე, ასევე, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, სასამართლოების, პროკურატურის, სამხედრო შენაერთების, პოლიციის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დანაყოფების შენობების ინტერიერებსა და ექსტერიერებში;
- ბ) მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ყველა საგზაო ნიშანზე.

მუხლი 2.

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო პლაკატის გასაკრავად განთავსდეს სპეციალურის ტენდები (შემდგომში სტენდი) დანართი №1-ით განსაზღვრულადგილებზე.

მუხლი 3.

ამ დადგენილების პირველი მუხლის გათვალისწინებით სტენდებზე თითოეულ საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას არაუმეტეს ერთი ცალი საარჩევნო პლაკატი ზომით არაუმეტეს: სიგრძე 60 სმ, სიგანე 42 სმ (A2 ფორმატი).

მუხლი 4.

საარჩევნო პლაკატები ასევე შეიძლება განთავსდეს მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე გარე განათების ბოძებზე, მგზავრთა მოსაცდელელებში და სამშენებლო ტერიტორიების შემომსაზღვრელ დროებით ღობეებზე.

მუხლი 5.

ამდადგენილებისპირველი მე-2დამე-4მუხლებისგათვალისწინებითსაარჩევნოპლაკატებიშიიძლებაგამოიფინოსშენობა-ნაგებობებსადასხვაობიექტებზემათიმესაკუთრეებისანმფლობელებისთანხმობისშემთხვევაში, თუ ამით არ უარესდება საგზაო ნიშნების, მაჩვენებლებისა და საავტომობილო გზის ხილვადობა, აგრეთვე საფრთხე არ ემუქრება ტრანსპორტისა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობას.

მუხლი 6.

გამოყოფილი ადგილები და განთავსების პირობები ყველა საარჩევნო სუბიექტისათვის თანაბარია.

მუხლი 7.

შესაბამისი საარჩევნო სუბიექტი ვალდებულია არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნებიდან 15 დღის ვადაში უზრუნველყოს სააგიტაციო მასალის ჩამოხსნა.

მუხლი 8.

ამდადგენილებისდარღვევისშემთხვევაშიპირსდაეკისრებასაქართველოსკანონმდებლობითგათვალისწინებულიპასუხისმგებლობა.

მუხლი 9.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 93-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინოს მარტვილის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფრასტრუქტურის, ურბანული განვითარებისა და არქიტექტურის სამსახურის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა.

მუხლი 9.

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

**მარტვილის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე**

ალექსი გაბისონია

დანართი №1

მარტვილის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალების გასაკრავად განსაზღვრული ადგილები

1. მარტვილის ცენტრალური პარკის შესასვლელი, გიორგი ჭყონდიდელის ძეგლიდან 10 მეტრში;
2. ქ. მარტვილის შესასვლელი, ავტოსადგურის წინ თავისუფლების ქ.N18;
3. ქალაქის შუაგულში, სკვერის წინ თავისუფლების ქუჩაზე;
4. სასტუმრო „გარდა“-ს გვერდით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის წინ ჭავჭავაძის ქუჩაზე;
5. მარტვილის მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლებისა და სოფლის უბნების ცენტრებში, თვალსაჩინო ადგილებზე;